

2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის უსაფრთხოების სექტორი და გენდერული თანასწორობა

წინამდებარე პოლიტიკის მოკლე აღწერა წარმოადგენს შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის (DCAF), ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) პრაქტიკული მითითებების კრებულის „გენდერი და უსაფრთხოება“ ერთ-ერთ ნაწილს, რომელიც აერთიანებს უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიმართულებით გასული ათი წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას. წინამდებარე პოლიტიკის მოკლე აღწერა ორიენტირებულია გლობალურ ინიციატივაზე უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში - 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის. დღის წესრიგი აღიარებს, რომ „მდგრადი განვითარება შეუძლებელია მშვიდობისა და უსაფრთხოების გარეშე; მდგრადი განვითარების გარეშე კი მშვიდობასა და უსაფრთხოებას საფრთხე ემუქრება“*.

პოლიტიკის მოკლე აღწერა:

- ◆ განმარტავს, რომ 2030 წლის დღის წესრიგი აღიარებს უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის კარგ მმართველობას მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად;
- ◆ იკვლევს, თუ როგორ ხედავს 2030 წლის დღის წესრიგი გენდერული თანასწორობის განხორციელებას მდგრადი განვითარების ყველა მიზნის მიღწევის პროცესში, მათ შორის მე-16-ე მიზნის, მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციების კუთხით;
- ◆ წარმოაჩენს კონკრეტულ კავშირებს გენდერული თანასწორობის შესახებ მდგრადი განვითარების მე-16-ე და მე-5-ე მიზნებზე მუშაობას შორის, და უზრუნველყოფს კავშირებს დოკუმენტში - გენდერი და უსაფრთხოება პრაქტიკული მითითებების კრებული - მოცემულ ინფორმაციასა და მითითებებთან;
- ◆ ხაზს უსვამს, თუ როგორ შეუძლია უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის მიერ გენდერულად მგრძნობიარე მონაცემთა წარმოება მხარი დაუჭიროს 2030 წლის დღის წესრიგზე მუშაობას.

პოლიტიკის მოკლე აღწერა გამიზნულია პოლიტიკის მესვეურთათვის, სამინისტროებისა და უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ინსტიტუტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან 2030 წლის დღის წესრიგის მიზნების რეალიზაციაში უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის ჩართულობით. წინამდებარე პოლიტიკის მოკლე აღწერა ორიენტირებულია 2030 წლის ნორმატიულ ჩარჩოზე, სადაც პრაქტიკული მითითებების კრებული, იძლევა დეტალურ მითითებებს დღის წესრიგის მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

* გაეროს გენერალური ასამბლეა (2015) "Transforming our world: The 2030 Agenda for Sustainable Development", 21 ოქტომბერი, UN Doc. A/RES/70/1, para. 35.

2030 წლის დღის წესრიგი და უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობა

მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის დღის წესრიგი ყველა ქვეყანას მოუწოდებს გარდამქმნელი ქმედებისაკენ, რათა მიღწეული იყოს მშვიდობა და აღმშენებლობა ყველასათვის, ასევე დაცული იყოს პლანეტა. 2015 წლის სექტემბერში, გაეროს ყველა წევრი ქვეყნის მიერ მიღებული 2030 წლის დღის წესრიგი განსაზღვრავს 17 ერთმანეთთან დაკავშირებულ მიზნას, რომელსაც ემატება 169 ამოცანა და 232 ინდიკატორი. მდგრადი განვითარების მიზნები პასუხობს სიღარიბეს, გენდერულ უთანასწორობას, კლიმატისა და გარემოს დაცვის საკითხებს. უსამართლობასა და ძალადობასთან დაკავშირებულ გლობალურ გამოწვევებს.

მდგრადი განვითარების მე-16-ე მიზანი 2030 წლის დღის წესრიგის მშვიდობისა და სამართლიანობისადმი მიდგომის ცენტრალური ნაწილია: მისი მიზანია „მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.“ მდგრადი განვითარების მე-16-ე მიზნის მიღწევა ფორმალურად აკავშირებს განვითარებას მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან. გაეროს სისტემაში „მშვიდობისადმი“ მანამდე არსებული მიდგომები ძირითადად ორიენტირებული იყო ჰუმანიტარულ საქმიანობაზე, ცეცხლის შეწყვეტაზე, სამშვიდობო ძალებსა და განიარაღებაზე, განცალკევებით განვითარების სოციალური და ეკონომიკური ფორმებისაგან¹.

2030 წლის დღის წესრიგი ადგენს „მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებების ხედვას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებულ მართლმსაჯულებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას..., კანონის უზენაესობასა და კარგ მმართველობას ყველა დონეზე; გამჭვირვალე, ეფექტურ და ანგარიშვალდებულ ინსტიტუტებს.“* აღიარებს უთანასწორობას და სუსტ მმართველობას, როგორც ძალადობას, დაუცველობასა და უსამართლობას. მე-16-ე მდგრადი განვითარების მიზნის ამოცანები (იხ. ჩანართი 1) მოიცავს შემდეგს: ძალადობის შემცირება, ბავშვთა მიმართ ძალადობის დასრულება, მართლმსაჯულებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასათვის და ეფექტური, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტები.

უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის კონტექსტში, კარგი მმართველობის კონცეფცია, გულისხმობს, რომ უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის ანგარიშვალდებული ინსტიტუტები უზრუნველყოფენ უსაფრთხოებასა და სამართლიანობას, როგორც საზოგადოებრივ სიკეთეს, დადგენილი და გამჭვირვალე პოლიტიკისა და პრაქტიკის მეშვეობით, ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის მოთხოვნების შესაბამისი ნორმატიული ჩარჩოს ფარგლებში.** მდგრადი განვითარების მე-16-ე მიზანი ცალსახად აღიარებს უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობის მნიშვნელობას განვითარებასა და მშვიდობის მშენებლობაში.

ჩანართი 1: მდგრადი განვითარების მე-16-ე მიზნის ამოცანები

მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.

16.1. საგრძნობლად შემცირდეს ძალადობის ყველა ფორმა და მასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველგან;

16.2. ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობის, ექსპლუატაციის, ტრეფიკინგისა და ყველა სახის ძალადობისა და წამების აღმოფხვრა;

* გაეროს გენერალური ასამბლეა (2015) „ჩვენი სამყაროს ტრანსფორმაცია: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“, 21 ოქტომბერი, გაეროს დოკ. A/RES/70/1, პარაგრაფი. 35.

** უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობის პრინციპების უფრო სიღრმისეულად გაცნობისთვის იხ. DCAF (2015) „უსაფრთხოების სექტორის მმართველობა: უსაფრთხოების სექტორში კარგი მმართველობის პრინციპების გამოყენება“.

16.3. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კანონის უზენაესობის დამკვიდრების ხელშეწყობა და მართლმსაჯულებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

16.4. 2030 წლისთვის, ფინანსებისა და იარაღის უკანონო ნაკადების მნიშვნელოვნად შემცირება, მოპარული აქტივების აღდგენისა და დაბრუნების ხელშეწყობა და ორგანიზებული დანაშაულის ყველა ფორმასთან ბრძოლა;

16.5. კორუფციისა და მექრთამეობის ყველა ფორმის მნიშვნელოვნად შემცირება;

16.6. ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე;

16.7. სწრაფი რეაგირების უნარის მექანე, ინკლუზიური, მონაწილეობითი და წარმომადგენლობითი გადანყვეტილებების მიღების პროცესის უზრუნველყოფა ყველა დონეზე;

16.8. გლობალური მმართველობის ინსტიტუტებში განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობის გაფართოება და განმტკიცება;

16.9. 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის სამართლებრივი სტატუსის, მათ შორის დაბადების რეგისტრაციის, უზრუნველყოფა;

16.10. საზოგადოების ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვა, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად;

16.a. შესაბამისი ეროვნული ინსტიტუტების გაძლიერება, მათ შორის საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში ძალადობის პრევენციის და ტერორიზმსა და დანაშაულთან ბრძოლის უნარის გაუმჯობესების მიზნით;

16.b არადისკრიმინაციული კანონების შემოღებისა და შემდგომი განხორციელების ხელშეწყობა, მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

2030 წლის დღის წესრიგი, გენდერული თანასწორობა და გენდერული ასპექტების გათვალისწინება

უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობა და „არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა“ ნიშნავს ყველას უსაფრთხოების საჭიროებების გათვალისწინებასა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას. გენდერული თანასწორობა, კანონის უზენაესობის განუყოფელი ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას, ასევე, ინსტიტუტების ეფექტურობას, ანგარიშვალდებულებასა და ინკლუზიურობას. გლობალურად, ყველა კონტექსტის მიხედვით, ქალები და გოგოები განიცდიან დაუცველობას, ძალადობასა და კონფლიქტს. ქალების დაუცველობას ხშირად ამძაფრებს ინტერსექციურობა (ერთზე მეტი ნიშნით დისკრიმინაცია), რაც ეფუძნება მათ ასაკს, რასას, ეთნორელიგიურ წარმომავლობას, ინვალიდობას, სოციალურ კლასს, სექსუალურ ორიენტაციას და/ან გენდერულ იდენტობას და ა.შ. მაგალითად, ღარიბი და სოფლად მცხოვრები ქალები ხშირად აწყდებიან კონკრეტულ წინააღმდეგობებს უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომის კუთხით. უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორმა უნდა უზრუნველყოს მომსახურებები, რომლებიც ცალსახად უპასუხებს უსაფრთხოებასა და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ ქალებისა და გოგოების განსხვავებულ საჭიროებებს. იმისათვის, რომ ანგარიშვალდებული და ინკლუზიური იყოს მიდგომა, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორმა უნდა აღიაროს ქალებისა და გოგოების როლი და უზრუნველყოს მათი ჩართულობა უსაფრთხოების და მართლმსაჯულების ინსტიტუტებსა და გადანყვეტილების მიღების პროცესში. აქედან გამომდინარე, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობი ზომები, როგორც უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობის შემადგენელი ნაწილი და გენდერული

ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმი, გათვალისწინებული უნდა იყოს მდგრადი განვითარების მე-16-ე მიზნის მისაღწევად გაწეულ ყველა საქმიანობაში.*

2030 წლის დღის წესრიგის ხედვის ძირითადი ნაწილი არის მდგრადი განვითარების მე-5-ე მიზანში გამოხატული - „გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგოს გაძლიერება“. მდგრადი განვითარების მე-5-ე მიზნის ამოცანები (იხილეთ ჩანართი 2) მოიცავს შემდეგს: ქალებისა და გოგოების მიმართ დისკრიმინაციის დასრულება, ყველა ქალისა და გოგოს მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრა, და ქალებისა და გოგოების მნიშვნელოვანი და ეფექტური მონაწილეობისა და ლიდერობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე. 2030 წლის დღის წესრიგი აღიარებს, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევასა და ქალებისა და გოგოების გაძლიერებას უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს პროგრესში, ყველა მიზნისა და ამოცანის მიმართულებით: „ადამიანური პოტენციალის სრულად რეალიზებისა და მდგრადი განვითარების მიღწევა შეუძლებელია თუ კაცობრიობის ნახევარზე მეტი სრულად ვერ ისარგებლებს ადამიანის უფლებებით და შესაძლებლობებით.“

ჩანართი 2: მდგრადი განვითარების მე-5-ე მიზნის ამოცანები

გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგოს გაძლიერება.

5.1. ყველა ადგილას, ყველა ქალისა და გოგოს მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის შემცირება;

5.2. ყველა ქალისა და გოგოს მიმართ, საჯარო და კერძო სექტორში, ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ტრეფიკინგის, სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის, აღმოფხვრა;

5.3. ყოველგვარი მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორც არის ბავშვთა ადრეულ ასაკში და იძულებითი ქორწინება;

5.4. ზრუნვისა და ოჯახში აუნაზღაურებელი შრომის აღიარება და დაფასება სახელმწიფო სერვისების, ინფრასტრუქტურის და სოციალური დაცვის პოლიტიკის უზრუნველყოფის, ასევე, ოჯახსა და შინამეურნეობებში პასუხისმგებლობის განაწილების ხელშეწყობის გზით;

5.5. პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მნიშვნელოვანი და ეფექტიანი მონაწილეობა გააძლიერებს მიმღებ ყველა დონეზე, ლიდერობისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

5.6. 2030 წლამდე, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვაზე და რეპროდუქციულ უფლებებზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფა, მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამისა და პეკინის სამოქმედო პლატფორმის, ასევე მათი გადასინჯვის მიზნით გამართული კონფერენციების დასკვნითი დოკუმენტების შესაბამისად ...;

5ა. ზომების განხორციელება და ჩვეულებითი პრაქტიკის შეცვლა ეკონომიკურ რესურსებზე ქალების თანაბარი უფლებების უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, მიწის, სხვა ფორმის ქონებისა და მემკვიდრეობის ფლობაზე და კონტროლზე;

5ბ. მოწინავე ტექნოლოგიების, კერძოდ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოება ქალთა გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით;

5გ. მიიღოს და გააძლიეროს ჯანსაღი პოლიტიკა და შესაბამისი კანონმდებლობა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ყველა ქალისა და გოგოს ყველა დონეზე გაძლიერების მიზნით.

* უფრო დეტალური განხილვისთვის უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობის პრინციპებისა და იმის შესახებ, თუ როგორ საჭიროებს ის გენდერულ თანასწორობას იხ. პრაქტიკული მითითებების კრებული 1, „უსაფრთხოების სექტორის მმართველობა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი“.

ქალები და გოგოები ვერ ისარგებლებენ თანასწორობით, თუ მათ არ აქვთ უსაფრთხოებასა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა. ქალებისა და გოგოების მიმართ დისკრიმინაციის, ძალადობისა და მავნე პრაქტიკის დასრულება, თანაბარი ხელმისაწვდომობის, მონაწილეობის და ლიდერობის შესაძლებლობების უზრუნველყოფა და გენდერული თანასწორობის კანონმდებლობის აღსრულება, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორისაგან კარგი მმართველობის პრინციპების შესაბამისად მუშაობას ითხოვს. ამგვარი პრინციპების შესაბამისად, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ეფექტური სექტორი, საშუალებას აძლევს ქალებს გახდნენ თანასწორი პარტნიორები გადაწყვეტილების მიღებისა და პარტნიორობის პროცესში. აღნიშნული გულისხმობს გენდერული თანასწორობის ინტეგრირებას უსაფრთხოებისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის, მართვის და ზედამხედველობის პროცესში. მდგრადი განვითარების მე-5-ე მიზნის მიღწევა მოითხოვს მე-16-ე მიზანთან დაკავშირებულ პროგრესს.*

გენდერული პერსპექტივის შემცველი ამოცანები გათვალისწინებულია 2030 წლის დღის წესრიგში. იქაც კი სადაც გენდერის საკითხი მკაფიოდ არ არის ხაზგასმული, მიზანში ან ამოცანაში, საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვრება „გენდერული პერსპექტივის სისტემატური ინტეგრირება“. რაც ნიშნავს, რომ 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელებისთვის გატარებული ნებისმიერი საქმიანობის, მაგალითად: კანონმდებლობის, პოლიტიკის თუ პროგრამების შემუშავების გავლენა ქალებზე, კაცებზე, გოგოებსა და ბიჭებზე უნდა შეფასდეს თითოეულ დონესა და ეტაპზე. ქალების, ისევე როგორც კაცების საზრუნავი და გამოცდილება უნდა გახდეს პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების განუყოფელი ნაწილი.²

უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში ეფექტური გენდერული მეინსტრიმინგი აღიარებს სქესისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას და ურთიერთკავშირს დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმასთან. რაც მოიცავს გარიყულობის, დისკრიმინაციის, ძალადობისა და უსამართლობის ცალკეულ ფორმებს, რომლებსაც განიცდიან ლგბტი (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი) ადამიანები (იხ. ჩანართი 3).

ჩანართი 3: ლგბტი ადამიანების მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა 2030 წლის დღის წესრიგის მიხედვით

სექსუალურ ქცევასთან, სექსუალურ ორიენტაციასთან, გენდერულ იდენტობასა და თვითგამოხატვასთან დაკავშირებული მოლოდინები ნაწილობრივ განაპირობებს, თუ როგორ აგებს საზოგადოება გენდერისა და გენდერული როლების სტრუქტურას. პატრიარქალური სისტემა, რომელიც ამყარებს გენდერულ უთანასწორობას და ხელს უწყობს მის შენარჩუნებას, საფუძვლად ედება დისკრიმინაციასა და ძალადობას ლგბტი ადამიანებისა და ზოგადად განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობისა და თვითგამოხატვის მქონე პირების მიმართ. ლგბტი ადამიანების მიმართ დისკრიმინაცია ხელს უწყობს და ამწვავებს ძალადობას, რომელიც მათ მიმართ ყოველდღიურად ხორციელდება, და ქმნის გარემოს სადაც ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობებს, მათი ცხოვრების ყველა ასპექტში.

2030 წლის დღის წესრიგი ცალსახად არ საუბრობს ლგბტი ადამიანებზე, მაგრამ მისი პირობა, რომ არავინ უნდა დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა, მოიცავს სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და თვითგამოხატვის მქონე პირებს. გენდერული თანასწორობის მიღწევა (მე-5-ე მიზანი) უნდა მოიცავდეს ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ქალებისა და გოგოების თანასწორობას. სამართლიანობისა და ინკლუზიის მიღწევა (მე-16-ე მიზანი) გულისხმობს, რომ ეს აუცილებლად გავრცელდება ლგბტი ადამიანებზე. გაეროს პასუხისმგებლობა ამ პირობის მიმართ

* ქალთა ჩართულობის, გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე ქალთა ჩართულობის შესახებ ფართო დისკუსიისა და მათ შორის ეფექტური კავშირების განხილვისთვის იხ. პრაქტიკული მითითებების კრებული 1, „უსაფრთხოების სექტორის მმართველობა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი“.

ვლინდება ერთობლივ ქმედებებსა და განცხადებებში სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციის დასრულების შესახებ.

წყაროები: UNOHCHR (2018) "Leave no LGBT person behind: Statement by human rights experts on the International Day against Homophobia, Transphobia, and Biphobia", 17 May; Egale Canada Human Rights Trust (2017) Queering the Sustainable Development Goals in Canada: Not leaving LGBTQI2S communities behind, Toronto, ON: Egale Canada Human Rights Trust, p. 8.

2030 წლის დღის წესრიგი არ არის პოლიტიკის ერთადერთი ჩარჩო, რომელიც გენდერულ თანასწორობას უსაფრთხოებასა და მართლმსაჯულებასთან აკავშირებს. მდგრადი განვითარების მე-5-ე მიზნის ამოცანები ასახვს 1995 წლის პეკინის დეკლარაციით და ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1979 წლის გაეროს კონვენციით აღებულ ვალდებულებებს. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას კონფლიქტის დროს, სამშვიდობო პროცესებსა და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში. მე-16-ე მიზანი ხაზს უსვამს ინკლუზიურობას, მე-5-ე მიზანი თანაბარ მონაწილეობას, 2030 წლის დღის წესრიგი ამტკიცებს მშვიდობისა და უსაფრთხოების ნორმებს, სამშვიდობო პროცესებსა და კონფლიქტების მოგვარების ყველა ეტაპსა და სფეროში ქალთა მნიშვნელოვანი მონაწილეობის შესახებ.³ მე-5-ე და მე-16-ე მიზანი გვთავაზობს მშვიდობისადმი გრძელვადიან, განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც ხაზს უსვამს კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მნიშვნელობას.⁴

როგორ შეუძლია უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორს წვლილი შეიტანოს 2030 წლის დღის წესრიგის მიზნების მიღწევაში?

2030 წლის დღის წესრიგის მიზნების მიღწევა მოითხოვს საჯარო სექტორის ინსტიტუტების სრულფასოვან ჩართულობას, მათ შორის უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის მოქმედი უწყებების, ისევე როგორც მათი მარეგულირებელი მექანიზმების, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების (NHRIs) ჩათვლით. მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაზე მუშაობა შეიძლება იყოს იმპულსი სახელმწიფოებისთვის, რათა მათ შეაფასონ უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის ინსტიტუტების ეფექტურობა და ანგარიშვალდებულება თითოეული მიზნის მიმართ. მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა სახელმწიფოთა უმეტესობისაგან მოითხოვს ინსტიტუციურ ტრანსფორმაციას უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის ზედამხედველობის, მართვისა და მომსახურების სფეროში. და პირიქით, თუკი უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის საქმიანობა გააღრმავებს უთანასწორობასა და გარიყულობას, ამით ხელს შეუშლის სახელმწიფოს მიერ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაცია ეროვნული, სუბნაციონალური და ადგილობრივი განვითარების გეგმებსა და საბიუჯეტო ასიგნებებში 2030 წლის დღის წესრიგის კრიტიკული ასპექტს წარმოადგენს. სახელმწიფოებს ეძლევათ შესაძლებლობა გლობალური მიზნები და ინდიკატორები მოარგონ ეროვნულ კონტექსტს. გაეროს სისტემა და სხვა საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული ორგანიზაციები, მათ შორის ეროვნული სტატისტიკის სამსახურები, ერთად მუშაობენ თითოეული მიზნისათვის განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად, პროგრესის შესაფასებლად საჭირო მონაცემების გაზომვისა და წარმოებისთვის.*

* 2030 წლის დღის წესრიგის გლობალური ინდიკატორის ჩარჩოსთვის იხ. <https://unstats.un.org/sdgs/indicators/indicators-list>.

როგორ შეუძლია უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორს გააცნობიეროს მდგრადი განვითარების მე-5-ე და მე-16-ე მიზნების ურთიერთშემავსებელი ბუნება?

მდგრადი განვითარების მე-5-ე და მე-16-ე მიზნებს შორის უნდა მოიძებნოს კავშირი, რადგან უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობა და გენდერული თანასწორობა ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია. მდგრადი განვითარების მე-16-ე მიზანს არ აქვს კონკრეტულად გენდერთან დაკავშირებული ამოცანა, მაგრამ აქვს გენდერთან დაკავშირებული ინდიკატორები, რადგან მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტები ვერ მიიღწევა გენდერული თანასწორობის გარეშე. მდგრადი განვითარების მე-16-ე მიზანთან დაკავშირებით ეროვნული და ადგილობრივი ამოცანების და ინდიკატორების განსაზღვრა და მონაცემთა წარმოება უნდა ითვალისწინებდეს გენდერულ ასპექტებს და კოორდინირებული იყოს გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობასთან. 2030 წლის დღის წესრიგმა შესაძლოა იმოქმედოს როგორც ჩარჩომ, რომლის მეშვეობით უკეთესი კოორდინაციით მიიღწევა პროგრესი მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის, ინკლუზიისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით.

ქვემოთ წარმოდგენილ თავებში მოცემულია მოქმედების მაგალითები სამი მიმართულებით, რაც ორივე მე-16-ე და მე-5-ე მიზნის საფუძველს წარმოადგენს: დისკრიმინაცია, ძალადობა, მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღება. უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორი ამ საკითხებზე მუშაობისას ორიენტირებული უნდა იყოს გენდერულ თანასწორობაზე, დეტალური განმარტებებისათვის იხილეთ დოკუმენტი - გენდერი და უსაფრთხოება პრაქტიკული მითითებების კრებული.

დისკრიმინაცია

მდგრადი განვითარების მე-5-ე და მე-16-ე მიზნებს დისკრიმინაციასთან დაკავშირებით ურთიერთშემავსებელი ამოცანები აქვთ.*

ამოცანა	ინდიკატორი
16.b. მდგრადი განვითარების მიზნით არადისკრიმინაციული კანონების მიღება და შემდგომი განხორციელების ხელშეწყობა	16.b.1 იმ ადამიანების პროპორციული ოდენობა რომელთაც, მათი განცხადებით, წინა 12 თვის განმავლობაში, გამოუცდიათ დისკრიმინაცია ან შევიწროვება, იმ ნიშნით, რომელიც იკრძალება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით
5.1 ყველა ადგილას ყველა ქალისა და გოგოს მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის შემცირება	5.1.1 მიკერძოებულობისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის არ არსებობის ხელშეწყობის, აღსრულებისა და მონიტორინგის მიზნით საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა

* SDG 10, „თანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის“- მას ასევე აქვს ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია დისკრიმინაციულ კანონებთან, პოლიტიკასა და პრაქტიკასთან.

დისკრიმინაცია სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ან თვითგამოხატვის საფუძველზე აკრძალულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობით. მიუხედავად ამისა, ბევრი ქვეყანა ინარჩუნებს დისკრიმინაციულ კანონებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა გენდერული ნიშნით ძალადობა, ოჯახში ძალადობა, მინის საკუთრება, ქორწინება, ბავშვის მეურვეობა, მემკვიდრეობა, დასაქმება და სექსუალური ორიენტაცია. მაგალითად, გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ კანონები ჩვეულებრივ გამოიცხავს გარკვეულ მსხვერპლებს. ქალებს შორის ერთსქესიანი ურთიერთობა კრიმინალიზებულია 45 ქვეყანაში, ხოლო კაცებს შორის 72 ქვეყანაში.⁵ ბევრ კონტექსტში, მაშინაც კი, როდესაც კანონი არ არის აშკარად დისკრიმინაციული, მის „ნეიტრალურ“ გამოყენებას დისკრიმინაციული ეფექტი აქვს ქალებზე.*

ახალმა და გაუმჯობესებულმა, კანონებმა მთელ მსოფლიოში ხელი შეუწყო გენდერული დისკრიმინაციისა და უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლას. თუმცა, სამართლებრივი რეფორმები არ არის საკმარისი. დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად საჭიროა უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში სტრუქტურების, ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბება, რათა უზრუნველყოფილ იქნას კანონის არადისკრიმინაციული განხორციელება და მართლმსაჯულების არადისკრიმინაციული ხელმისაწვდომობა. უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ინსტიტუტებს და მათ თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ სურვილი და შესაძლებლობა ეფექტურად უპასუხონ კაცების, ბიჭების, ქალების, გოგონების და სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა და თვითგამოხატვის ადამიანების უსაფრთხოებასა და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საჭიროებებს. აუცილებელია ახალი პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება, ასევე, გენდერზე ორიენტირებული ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა, გენდერის საკითხზე ტრენინგებისა და საზოგადოებრივი კამპანიების ჩატარება, გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართული ზომების გატარება, შიდა მონიტორინგის მექანიზმების დანერგვა და უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების არასახელმწიფო მომწოდებლების ჩართულობა.

ასევე, აუცილებელია უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში დასაქმებული ქალებისა და ლგბტი ადამიანების მიმართ დისკრიმინაციის დასრულება. საჭიროა ინსტიტუციური კულტურის ტრანსფორმაცია ძლიერი ლიდერების, ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პრაქტიკის, ტრენინგისა და დიალოგის მეშვეობით, რომელსაც მხარს უჭერს ძლიერი შიდა ზედამხედველობის მექანიზმები.

პრაქტიკული მითითებების კრებულში - გენდერი და უსაფრთხოება, დეტალურად არის განმარტებული, თუ როგორ შეუძლია უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორს ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის აღმოფხვრას.**

პარლამენტები, სახალხო დამცველის ინსტიტუტები, უფლებადამცველი ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის გარე ზედამხედველობის პროცესში. მათ შეუძლიათ უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ინსტიტუტებს პასუხი მოსთხოვონ, თუკი ისინი ვერ უზრუნველყოფენ მართლმსაჯულებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და ვერ აღმოფხვრიან დისკრიმინაციას, მათ შორის ქალებისა და ლგბტი ადამიანების მიმართ.***

* ნაიკითხეთ მე-4 პრაქტიკული მითითებების კრებულის მე-2 ნაწილი, „მართლმსაჯულება და გენდერი“ გენდერული დისკრიმინაციის ახსნა-განმარტები, მონაცემებით და მაგალითებით კანონში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში.

**იხილეთ პრაქტიკული მითითებების კრებული 2 „პოლიცია და გენდერი“, პრაქტიკული მითითებების კრებული 4 „მართლმსაჯულება და გენდერი“, პრაქტიკული მითითებების კრებული 5 “თავისუფლების აღკვეთის ადგილები და გენდერი“ და პრაქტიკული მითითებების კრებული 6 „საზღვრის მართვა და გენდერი“.

*** პრაქტიკული მითითებების კრებული 7, “უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა და გენდერი“, განმარტავს თუ როგორ გაძლიერდეს დისკრიმინაციასთან ბრძოლა გარე ზედამხედველობასთან მიმართებით.

გენდერული ასპექტების პოლიციის, სახალხო დამცველის ინსტიტუტების და უფლებადამცველი ორგანიზაციების ზედამხედველობის საკითხებში გათვალისწინების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ DCAF, OSCE და OSCE/ODIHR (2014) Guidance Notes on Integrating Gender into Security Sector Oversight.

სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობასთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ, DCAF, OSCE/ODIHR, UN-INSTRAW (2008) “Civil Society Oversight of the Security Sector and Gender”, პრაქტიკული მითითებების კრებული 9 გენდერი და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა.

ძალადობა

მდგრადი განვითარების მე-5-ე და მე-16-ე მიზნებს, ძალადობასთან დაკავშირებით ურთიერთ შემავსებელი ამოცანები აქვთ.

ამოცანა	ინდიკატორი
<p>16.1 ძალადობის ყველა ფორმისა და ამ მიზეზით გამოწვეული სიკვდილიანობის შემთხვევათა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება ყველგან</p>	<p>16.1.1. განზრახ მკვლელობის მსხვერპლთა რაოდენობა 100.000 ადამიანზე, სქესისა და ასაკის მიხედვით; 16.1.2. კონფლიქტის შედეგად დამდგარი სიკვდილის შემთხვევათა რაოდენობა 100,000 ადამიანზე, სქესის, ასაკისა და სიკვდილის მიზეზის მიხედვით; 16.1.3. იმ ადამიანების პროპორციული ოდენობა, რომელთა მიმართ წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან სექსუალურ ძალადობას; 16.1.4. იმ ადამიანების პროპორციული რაოდენობა, რომლებიც თავს გრძნობენ უსაფრთხოდ საცხოვრებელ ტერიტორიაზე გადაადგილების დროს.</p>
<p>16.2 ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობის, ექსპლუატაციისა და ძალადობის ყველა ფორმისა და წამების აღმოფხვრა</p>	<p>16.2.1. 1-17 ასაკის ბავშვების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც გამოუცდიათ რაიმე სახის ფიზიკური დასჯა და/ან ფსიქოლოგიური აგრესია მომვლელების მხრიდან, ბოლო ერთი თვის განმავლობაში; 16.2.2 ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა 100,000 ადამიანზე, სქესის, ასაკის და ექსპლუატაციის ფორმის მიხედვით; 16.2.3 18-29 წლის იმ ახალგაზრდა ქალებისა და კაცების პროპორციული ოდენობა, ვისაც 18 წლის ასაკამდე გამოცდილი აქვს სექსუალური ძალადობა</p>
<p>5.2 ყველა ქალისა და გოგოს მიმართ საჯარო და კერძო სექტორში ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ტრეფიკინგისა და სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის აღმოფხვრა</p>	<p>5.2.1. 15 წლის და უფრო მეტი ასაკის იმ ქალებისა და გოგოების პროპორციული რაოდენობა, ასაკისა და ძალადობის ადგილის მიხედვით, რომელთა მიმართ ინტიმური პარტნიორის მხრიდან წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონია ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას; 5.2.2. 15 წლის და უფრო მეტი ასაკის იმ ქალებისა და გოგოების პროპორციული რაოდენობა ასაკისა და ძალადობის ადგილის მიხედვით, რომელთა მიმართ არა ინტიმური პარტნიორის მხრიდან წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონია სექსუალურ ძალადობას;</p>
<p>5.3 ყოველგვარი მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორც არის ბავშვთა ქორწინება, ადრეულ ასაკში და იძულებით ქორწინება, ასევე ქალთა წინადაცვეთა</p>	<p>5.3.1. 20-24 წლის იმ ქალთა პროპორციული რაოდენობა, რომლებიც დაქორწინებულები იყვნენ ან კავშირში იმყოფებოდნენ 15 და 18 წლის ასაკამდე; 5.3.2. 15-49 წლის იმ ქალთა პროპორციული რაოდენობა, ასაკის მიხედვით, რომლებმაც განიცადეს ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება/მოჭრა.</p>

ცხოვრების მანძილზე ბევრი ქალი, გოგო, კაცი და ბიჭი განიცდის ძალადობას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, მთელ მსოფლიოში ქალების 35% განუცდია სექსუალური ძალადობა არა ინტიმური პარტნიორის მხრიდან ან ფიზიკური და/ან სექსუალური ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან.⁶ ლგბტი ადამიანები ხშირად ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ არიან. გენდერული ნიშნით და ლგბტი ადამიანების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შესახებ ნაკლებად აცხადებენ პოლიციის, მართლმსაჯულების სამსახურებისა და შესაბამისი პროცესებისადმი დაბალი ნდობის გამო.⁷

უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სერვისების მომწოდებლებმა, როგორც არის: პოლიცია, სასამართლო, თავისუფლების აღკვეთის ადგილები, სასაზღვრო სამსახურები და საიმისგრაციო დაწესებულებები, უნდა გააუმჯობესონ ბრძოლა გენდერული ნიშნით ძალადობის ყველა ფორმის მიმართ. ბევრ კონტექსტში, პროგრესი მოიცავდა ზომებს, როგორცაა სპეციალიზებული პროცედურები და ინფრასტრუქტურა გენდერული ნიშნით ძალადობაზე რეაგირებისთვის; მსხვერპლის/გადარჩენილის დაცვა და მომსახურება; პოლიციის ქალთა განყოფილებები; გენდერული განყოფილებები და გენდერზე საკონტაქტო პირები; ტრენინგი და პროფესიული განვითარება გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ; ქალთა და ლგბტი ადამიანების დამაკავშირებელი ქსელები; და თანამშრომლობა უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების არასახელმწიფო მომწოდებლებთან. უსაფრთხოების სამსახურებს უნდა ჰქონდეთ მიღებული ზომები, რომლებიც აღიარებენ და ეხმარებიან ფაქტს, რომ მათი პერსონალი ზოგჯერ არის შვიწროების და ძალადობის ჩამდენი, როგორც საზოგადოების წევრების, ისე კოლეგების მიმართ.

პრაქტიკული მითითებების კრებული - გენდერი და უსაფრთხოება დეტალურად განმარტავს, თუ როგორ შეუძლიათ უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სერვისების მომწოდებლებს ძალადობაზე უკეთ რეაგირება და მის პრევენციაში წვლილის შეტანა.*

სახალხო დამცველის ინსტიტუტებს და უფლებადამცველ ორგანიზაციებს, მათი მანდატის ფარგლებში, უფლება აქვთ გამოიძიონ ძალადობის ბრალდებები უსაფრთხოების სექტორში. ისინი, პარლამენტსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიერ ძალადობაზე, მათ შორის ქალების, გოგოების და ლგბტი ადამიანების მიმართ, რეაგირებისა და ძალადობის პრევენციაზე მუშაობის მონიტორინგში.**

მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღება

2030 წლის დღის წესრიგის გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ამოცანები წარმოადგენს ურთიერთკავშირის მაგალითს მდგრადი განვითარების მე-5-ე და მე-16-ე მიზნებს შორის.

*იხილეთ პრაქტიკული მითითებების კრებული 2 „პოლიცია და გენდერი“, პრაქტიკული მითითებების კრებული 4 „მართლმსაჯულება და გენდერი“, პრაქტიკული მითითებების კრებული 5 „თავისუფლების აღკვეთის ადგილები და გენდერი“ და პრაქტიკული მითითებების კრებული 6 „საზღვრის მართვა და გენდერი“.

**გენდერული ასპექტების პოლიციის, შეიარაღებული ძალების, სახალხო დამცველის ინსტიტუტების და უფლებადამცველი ორგანიზაციების ზედამხედველობის საკითხებში გათვალისწინების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ DCAF, OSCE და OSCE/ODIHR (2014) Guidance Notes on Integrating Gender into Security Sector Oversight

ზომები რომელთა გატარება შეუძლიათ პარლამენტებს გენდერული ნიშნით ძალადობასთან დაკავშირებით განხილულია მე-7 პრაქტიკული მითითებების კრებულში, - „უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა და გენდერი“.

ამოცანა	ინდიკატორი
<p>16.7. სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადანაცვეტილებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფა ყველა დონეზე</p>	<p>16.7.1. საჯარო დაწესებულებებში (ეროვნულ და ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში, საჯარო სამსახურში და მართლმსაჯულების სისტემაში) პოზიციების პროცენტული მაჩვენებლები (სქესის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მოსახლეობის ჯგუფების მიხედვით) ეროვნულ დონეზე საერთო განაწილებებთან შედარებით;</p> <p>16.7.2 იმ მოსახლეობის წილი, რომელსაც მიაჩნია, რომ გადანაცვეტილების მიღების პროცესი ინკლუზიური და სწრაფი რეაგირების უნარის მქონეა, სქესის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობისა და მოსახლეობის ჯგუფის მიხედვით</p>
<p>5.5 პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მნიშვნელოვანი და ეფექტიანი მონაწილეობის, გადანაცვეტილების მიმღებ ყველა დონეზე, ლიდერობისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა</p>	<p>35.5.1 პარლამენტში და ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა</p> <p>5.5.2 ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების პროპორციული მაჩვენებელი</p>

ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ინსტიტუტებში. მიუხედავად იმისა, რომ გლობალურ დონეზე არსებული მონაცემები მწირია, ბოლო დროინდელმა კვლევამ დაადგინა, რომ პოლიციაში ქალთა წარმომადგენლობა 6%-დან 48%-მდეა.* ქალები ნატოს წევრ ქვეყნებსა და ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებში სამხედრო პერსონალის საშუალოდ მხოლოდ 10%-ს შეადგენენ.** 2016 წლის ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყნის შეფასებით გამოვლინდა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მხოლოდ 37% იყო ქალი.® ქალთა წარმომადგენლობის დაბალი მაჩვენებელი კიდევ უფრო თვალსაჩინოა გადანაცვეტილების მიმღებ მაღალ დონეზე, რაც ვლინდება ქალთა თანაბარი მონაწილეობის უფლების რეალიზებაში და საჯარო სექტორში დასაქმების კუთხით მნიშვნელოვან ხარვეზებში. უფრო მეტიც, ქალი პერსონალის სიმცირე ხელს უშლის უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორს უზრუნველყოს ეფექტური სერვისების მიწოდება საზოგადოების ყველა წარმომადგენლისათვის.

ქალები ასევე ნაკლებად არიან წარმოდგენილნი საკანონმდებლო ორგანოებში, თითქმის ყველა ქვეყანაში. 2019 წლის აპრილის მონაცემებით, მსოფლიოს პარლამენტარების მხოლოდ 24,3% იყო ქალი და მხოლოდ 46 ქვეყანაში გადააჭარბა ქალთა წარმომადგენლობამ 30%-ს.***

* იხ. მეორე პრაქტიკული მითითებების კრებულში, „პოლიცია და გენდერი“ მოცემული მონაცემები
 ** იხ. მესამე პრაქტიკული მითითებების კრებულში, „თავდაცვა და გენდერი“ მოცემული მონაცემები
 *** ეროვნულ პარლამენტებში ქალთა შესახებ მონაცემებს საპარლამენტთაშორისო კავშირი აქვეყნებს, <https://data.ipu.org>.

ქალების დაბალი წარმომადგენლობა სათავეს ინსტიტუციურ გენდერულ მიკერძოებულობასა და დისკრიმინაციაში იღებს. პრაქტიკული მითითებების კრებული გენდერი და უსაფრთხოება განიხილავს გზებს, რომლითაც უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის ინსტიტუტებსა და პარლამენტებს შეუძლიათ გახდნენ უფრო ინკლუზიური, ქალების და სხვა არა სათანადოდ წარმოდგენილი ჯგუფების მიმართ და უზრუნველყონ თანაბარი შესაძლებლობები. ძირითადი მიდგომები მოიცავს დასაქმების და ადამიანური რესურსების მართვის პროცესების გაუმჯობესებას, პროფესიული ასოციაციების მხარდაჭერას, დიალოგის წარმოებას და უწყების კულტურის ცვლილებას.*

უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში ინკლუზიის, მონაწილეობისა და წარმომადგენლობის მიღწევა არ არის მხოლოდ ბალანსის მიღწევა ქალ და კაც თანამშრომლებს შორის; ეს ეხება სამოქალაქო საზოგადოების, განსაკუთრებით ქალების, ლგბტი ადამიანების და სხვა მარგინალიზებული ჯგუფების ჩართულობას უსაფრთხოების, პრიორიტეტების, უზრუნველყოფის და ზედამხედველობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. საჭიროა როგორც ფორმალური საკონსულტაციო მექანიზმები, ასევე მიმდინარე პრაქტიკა საზოგადოებასა და უსაფრთხოების სექტორს შორის კარგი ურთიერთობების უზრუნველსაყოფად. პრაქტიკული მითითებების კრებული გენდერი და უსაფრთხოება განიხილავს მიდგომებს, რომელიც უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის ინსტიტუტებს, პარლამენტებს შესაძლებლობას აძლევს გააძლიერონ საზოგადოების ჩართულობა.**

მდგრადი განვითარების მიზნებისთვის მონაცემთა წარმოების გაუმჯობესება უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში

კიდევ ერთი სფერო, სადაც უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორს შეუძლია წვლილი შეიტანოს მდგრადი განვითარების მიღწევაში არის გენდერულად მგრძობიარე მონაცემთა წარმოება. ასევე, სხვა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა, ეროვნულ დონეზე მონაცემთა წარმოების გასაუმჯობესებლად. მონაცემებსა და მტკიცებულებებს აქვს ძალა, დააკისროს მთავრობას და ინსტიტუტებს გენდერული თანასწორობის პასუხისმგებლობა, გახადოს უხილავი ხილვადი და შეცვალოს კანონები, პოლიტიკა და ბიუჯეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები. საბაზისო მონაცემთა წარმოება 2030 წლის დღის წესრიგის მიღწევის პროგრესის მონიტორინგისთვის კვლავ გამოწვევად რჩება ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით მდგრადია ხარვეზები გენდერული თანასწორობისა და სქესის ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემებთან დაკავშირებით.⁹

მდგრადი განვითარების მე-5-ე და მე-16-ე მიზნების ინდიკატორების ჩარჩო უნდა იყოს ამოსავალი წერტილი უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორისთვის მონაცემთა წარმოებაში და არა „ჭერი“ იმისა, რაც შესაძლებელია. ზოგიერთი ინდიკატორი მოითხოვს მონაცემების ჩაშლას სქესის, ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობების მიხედვით, თუმცა ეს ყველას არ ეხება. მიუხედავად ამისა, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ, ყველა მონაცემის წარმოება მინიმუმ

* ქალების და სხვა ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების მონაწილეობის გაზრდის სტრატეგიები განხილულია პირველ მითითებაში „უსაფრთხოების სექტორის მმართველობა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი“.

პრაქტიკული მითითებების კრებული 2 „პოლიცია და გენდერი“, პრაქტიკული მითითებების კრებული 3 „თავდაცვა და გენდერი“, პრაქტიკული მითითებების კრებული 4 „მართლმსაჯულება და გენდერი“, პრაქტიკული მითითებების კრებული 5 „თავისუფლების აღკვეთის ადგილები და გენდერი“, პრაქტიკული მითითებების კრებული 6 „საზღვრის მართვა და გენდერი“, პრაქტიკული მითითებების კრებული 7 „უსაფრთხოების სექტორისა და გენდერის საპარლამენტო ზედამხედველობა“ და პრაქტიკული მითითებების კრებული 14 „დაზვერვის სამსახურები და გენდერი“.

** საზოგადოების ჩართულობის სტრატეგიები განხილულია მითითებაში 1, „უსაფრთხოების სექტორის მმართველობა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი“, პრაქტიკული მითითებების კრებული 4 „მართლმსაჯულება და გენდერი“ და პრაქტიკული მითითებების კრებულში 7, „საპარლამენტო ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორისა და გენდერზე“.

ასაკისა და სქესის მიხედვით და, სადაც შესაძლებელია, მათ კონტექსტთან დაკავშირებული სხვა სოციალური ფაქტორების შესაბამისად.*

მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების ჩარჩოზე დაფუძნებული ქვეამოცანებისა და ქვეინდიკატორების შემუშავება ხელს შეუწყობს თითოეული მიზნისთვის საჭირო მონაცემების წარმოებას ეროვნულ დონეზე. უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორს შეუძლია შეიმუშაოს გენდერული ქვეამოცანები, რათა ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მე-16-ე მიზნის მიღწევას. მაგალითად, ამოცანა 16.1 ეხება ძალადობის ყველა ფორმისა და მასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებლების მნიშვნელოვნად შემცირებას ყველგან. მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფისაკენ მიმართული ძალისხმევის უზრუნველსაყოფად, გენდერული ქვეამოცანა შეიძლება იყოს ინტიმური პარტნიორის მიერ ქალთა მიმართ ძალადობისა და მასთან დაკავშირებული სიკვდილის შემცირება ან/და ლგბტი ადამიანების მიმართ სიძულვილით გამოწვეული დანაშაულებების და მასთან დაკავშირებული სიკვდილის შემცირება.

ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების შესაბამისად, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ინსტიტუტებმა მათ მიერ წარმოებული და დამუშავებული მონაცემები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადონ (პერსონალური მონაცემების დაცვისა და კონფიდენციალურობის მოსაზრებების გათვალისწინებით). ეს საშუალებას აძლევს გარე ზედამხედველობის ინსტიტუტებს, როგორც არის: ეროვნული პარლამენტები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, აკადემიური ინსტიტუტები და მედია, გააკეთონ საკუთარი ანალიზი ან კვლევების ფარგლებში ითანამშრომლონ სახელმწიფო ინსტიტუტებთან, რაც სექტორს გრძელვადიან პერსპექტივაში მოუტანს სარგებელს.**

დასკვნა

უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორი გადამწყვეტ როლს ასრულებს 2030 წლის დღის წესრიგის მიღწევაში, რადგან უსაფრთხოება და სამართლიანობა განვითარების აუცილებელი ელემენტებია. წინამდებარე პოლიტიკის მოკლე აღწერა ასახავს 2030 წლის დღის წესრიგის ნორმატიულ ჩარჩოს მშვიდობის, სამართლიანობისა და ძლიერი ინსტიტუტებისთვის, სადაც ნაჩვენებია, რამდენად არის საჭირო გენდერული თანასწორობა კარგი მმართველობის მიზნების მისაღწევად და როგორ შეუძლია მდგრადი განვითარების მე-5-ე მიზანზე მუშაობას შეავსოს მე-16-ე მიზნის პროგრესი. 2030 წლის დღის წესრიგის დისკრიმინაციასთან, ძალადობასთან, მონაწილეობასთან და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ამოცანები და ინდიკატორები მტკიცედ აკავშირებს მდგრადი განვითარების მე-5-ე და მე-16-ე მიზნებს.

პრაქტიკული მითითებების კრებული გენდერი და უსაფრთხოება, რომლის ნაწილს წარმოადგენს პოლიტიკის ეს მოკლე აღწერა, გთავაზობს დეტალურ ანალიზს, მონაცემებს და მითითებებს, რომლებიც შეუძლია გამოიყენოს უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორმა და მათზე მუშაობით შეიტანოს წვლილი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

* სქესის და სხვა გადაკვეთის ფაქტორების გათვალისწინების მიზნით მონაცემების სეგრეგირება განხილულია მე-15 პრაქტიკული მითითებების კრებულში „გენდერის ინტეგრირება უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის პროექტის დიზაინსა და მონიტორინგში“.

** გენდერის ინტეგრირება მონიტორინგსა და პროექტების შეფასებაში უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში განხილულია მე-15 პრაქტიკული მითითებების კრებულში „გენდერის ინტეგრირება პროექტების დიზაინსა და მონიტორინგში უსაფრთხოებისა და იუსტიციის სექტორისთვის“.

დამატებითი რესურსები

Global Alliance of NHRIs (GANHRI), resources on NHRIs and SDGs, <https://nhri.ohchr.org/EN/Themes/SustDevGoals>

Pathfinders for Peaceful, Just and Inclusive Societies, <https://www.sdg16.plus>

SDGs and the OSCE, <https://www.osce.org/sustainable-development-goals>

SDG Tracker, Measuring Progress towards the Sustainable Development Goals, <https://sdg-tracker.org>

UNDP (2018) “Gender equality as an accelerator for achieving the Sustainable Development Goals”, discussion paper, New York: UNDP.

UN Statistics Division, SDG Indicators: Metadata Repository, <https://unstats.un.org/sdgs/metadata>

UN Sustainable Development Goals Knowledge Platform, <https://sustainabledevelopment.un.org>

UN Women resources on Agenda 2030, <https://www.unwomen.org/en/what-we-do/post-2015>

გამოყენებული ლიტერატურა

1. D. M. Malone (2018) "On SDG 16: Peace, justice and strong institutions", Our World, 14 May, <https://ourworld.unu.edu/en/sdg-16-peace-justice-and-strong-institutions>; M. Martínez-Solimán and O. Fernández-Taranco (2017) "Sustainable development and sustaining peace: Two sides of the same coin", UNDP, 20 July, <https://www.undp.org/content/undp/en/home/blog/2017/7/20/Sustainable-development-and-sustaining-peace-Two-sides-of-the-same-coin.html>.
2. UN Economic and Social Council (1997) "UN Economic and Social Council Resolution 1997/2: Agreed conclusions", 18 July, Resolution 1997/2.
3. International Women's Development Agency (2016) "The global goals: Women, peace and security", Melbourne: IWDA, pp. 2-3.
4. A. Möller-Loswick and U. Knudsen-Latta (2017) "Making Goal 16 count – Ensuring a gender perspective", London: Saferworld, p. 3.
5. UN Women (2018) "Executive director's blog series: Violence against LGBTI persons", UN Women, 8 December, <http://www.unwomen.org/en/news/stories/2017/12/op-ed-ed-phumzile-16days-day14>.
6. World Health Organization, London School of Hygiene and Tropical Medicine and South African Medical Research Council (2013) "Global and regional estimates of violence against women: Prevalence and health effects of intimate partner violence and non-partner sexual violence", Geneva: WHO.
7. Organization of American States (2018) "An overview of violence against LGBTI persons in the Americas: A registry documenting acts of violence between January 1, 2013 and March 31, 2014", OAS, 17 December, http://www.oas.org/en/iachr/media_center/PReleases/2014/153A.asp.
8. Council of Europe (2018) "European judicial systems: Efficiency and quality of justice", CEPEJ Studies No. 26, Strasbourg: Council of Europe.
9. Equal Measures 2030 (2018) "Data driving change. Introducing the EM2030 SDG Gender Index", Woking: Equal Measures 2030, p. 7; H. M. Nygård (2018) "SDG 16 Data Initiative: 2018 global report", SDG 16 Data Initiative Global Reports 2, Oslo: SDG 16 Data Initiative.

ავტორები: ანა-ლენა შლუხტერი, ლორეინ ა. სერანო და მეგან ბასტიკი.

მადლობა

შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF), ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE ODIHR) და გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) მადლობას უხდის ლუიზა ედვარდსს და შონ ტაიტს (APCOF), ანა მოლერ-ლოსვიკს (FBA) და რანჯანი კ. მერთის ამ პოლიტიკის მოკლე აღწერის განხილვისთვის. გარდა ამისა, ავტორები მადლობას უხდებიან გრაზიელა პავონეს და ჯენიფერ კროფტს (OSCE/ODIHR) და DCAF-ისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის თანამშრომლებს შეტანილი წვლილისთვის.

შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი მადლიერებით აღნიშნავს შვეიცარიის, შვედეთის და გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის მხარდაჭერას წინამდებარე პოლიტიკის მოკლე აღწერის შემუშავებაში.

ISBN: 92-9222-507-3

© DCAF, OSCE/ODIHR, UN Women, 2019

მისასალმებელია წინამდებარე პოლიტიკის მოკლე აღწერის გამოყენება, თარგმნა და გავრცელება. თუმცა, გთხოვთ, აღნიშნოთ და მიუთითოთ გამოყენებული მასალა და არ შეცვალოთ მისი შინაარსი.

ციტირებისას მიუთითეთ: DCAF, OSCE/ODIHR, UN Women (2019) „2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის, უსაფრთხოების სექტორი და გენდერული თანასწორობა“, გენდერის და უსაფრთხოების შესახებ პრაქტიკული მიზნების კრებული, ჟენევა: DCAF, OSCE/ODIHR, UN Women.

წინამდებარე დოკუმენტი თავდაპირველად გამოქვეყნდა შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის (DCAF), ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ინგლისურ ენაზე შემდეგი სახელწოდებით: გენდერი და უსაფრთხოება - პრაქტიკული მიზნების კრებული, 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის, უსაფრთხოების სექტორი და გენდერული თანასწორობა. ამ გამოცემის ქართულენოვანი ვერსია წარმოადგენს არაოფიციალურ თარგმანს, რომელიც მომზადდა და გამოიცა გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისის მიერ დიდი ბრიტანეთის კონფლიქტის, სტაბილურობის და უსაფრთხოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. მისი შინაარსი შესაძლოა არ ასახავდეს OSCE/ODIHR-ის პოლიტიკას და პოზიციას. ტექსტებს შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან დოკუმენტს, რომელიც ზუსტ და ოფიციალურ ვერსიას წარმოადგენს.

